



**სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა  
კონტროლისა და საზოგადოებრივი  
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი**

11 ოქტომბერი 2024



ქ.თბილისი

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

**გრიპის სეზონურ ვაქცინაციას დაქვემდებარებული რისკის და სპეციფიური  
პრიორიტეტული ჯგუფების ნუსხისა და ვაქცინაციის ჩატარების წესის შესახებ**

„2024 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 დეკემბრის №529 დადგენილების დანართი N2-ის (იმუნიზაცია - პროგრამული კოდი 27 03 02 02) ) მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-9 მუხლის მე-15 პუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

2024–2025 წლების სეზონისთვის, ჯანმოს რეკომენდაციების გათვალისწინებით დამტკიცდეს:

1. 2024-2025 წლების გრიპის სეზონურ ვაქცინაციას დაქვემდებარებული რისკის და სპეციფიური პრიორიტეტული ჯგუფები:

**ა) სპეციფიკური ქრონიკული დარღვევების მქონეთაგან:**

- ა.ა) დიაბეტის მქონე პირები;
- ა.ბ) დიალიზზე მყოფი პირები;
- ა.გ) C ჰეპატიტის მქონე პირები (მხოლოდ მკურნალობაზე მყოფნი)
- ა.დ) აივ ინფექცია/შიდსის მქონე პირები;
- ა.ე) ორგანოგადანერგილი და მუკოვისციდოზის დაავადების მქონე პირები

**ბ) სხვა პრიორიტეტული ჯგუფები:**

- ბ.ა) ბავშვთა (მ.შ. მცირე საოჯახო ტიპის) და მოხუცთა თავშესაფრების ბენეფიციარები და მათი მომვლელი პერსონალი;
- ბ.ბ) ორსულები;
- ბ.გ) 60 წლის და უფროსი ასაკის ხანდაზმული პირები;
- ბ.დ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (სკოლები) პედაგოგები;
- ბ.ე) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მის კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლები;
- ბ.ვ) მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრების თანამშრომლები;

**გ) “სავალდებულო პროფილაქტიკურ იმუნიზაციას დაქვემდებარებულ საქმიანობათა**

ნუსხის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 22 იანვრის N 01- 6/ნ ბრძანებით განსაზღვრული სავალდებულო იმუნიზაციის დაქვემდებარებული შემდეგი პროფესიული ჯგუფები:

**გ.ა.) ჯანმრთელობის დაცვის პერსონალი:**

- გ.ა.ა.) ექიმები;
- გ.ა.ბ.) ექიმი-რეზიდენტები;
- გ.ა.გ.) ექთნები (მ.შ. უმცროსი ექთნები, ექთნის თანამშემწეები);
- გ.ა.დ.) საექიმო და საექთნო საქმის პროფესიული პრაქტიკის სტუდენტები;
- გ.ა.ე.) ბებია ქალები;
- გ.ა.ვ.) სტომატოლოგები;
- გ.ა.ზ) სტომატოლოგის ასისტენტები, სტომატოლოგიის ექთნები;
- გ.ა.თ) სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული სხვა პერსონალი, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ პაციენტებთან;
- გ.ა.ი) სამედიცინო დიაგნოსტიკური ლაბორატორიის და პათოლოგანატომიური სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების თანამშრომლები, რომლებსაც უშუალო შეხება აქვთ ბიოლოგიურ მასალასა და პაციენტებთან;

**გ.ბ.) ვეტერინარია და გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე პერსონალი:**

- გ.ბ.ა.) ფრინველებთან მომუშავე პერსონალი;
- გ.ბ.ბ.) მეცხოველეობაში დასაქმებულები/ფერმების თანამშრომლები;
- გ.ბ.გ.) მონადირეები;
- გ.ბ.დ.) ვეტერინარები;
- გ.ბ. ე) ვეტერინარული ლაბორატორიის თანამშრომლები;

**გ.გ.) სხვა პროფესიული საქმიანობის ჯგუფი:**

- გ.გ.ა.) ადრეული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების თანამშრომლები;

**გ.დ) თავდაცვის, უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამსახურის თანამშრომლები:**

- გ.დ.ა.) საერთაშორისო სამშვიდობო მისიაში წამსვლელი სამხედრო მოსამსახურეები;
- გ.დ.ბ.) სამხედრო სავალდებულო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები;
- გ.დ.გ.) საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) კურსზე ჩარიცხული სამხედრო მოსამსახურეები;
- გ.დ.დ.) სამხედრო სამედიცინო გვარეობის სამტატო თანამდებობაზე მომუშავე სამედიცინო პერსონალი, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ პაციენტებთან.

**გ.ე.) პენიტენციურ დაწესებულებაში მომუშავე პერსონალი;**

- გ.ე.ა.) პატიმრობის დაწესებულების თანამშრომლები;
- გ.ე.ბ.) თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების თანამშრომლები;
- გ.ე.გ.) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების თანამშრომლები.

**გ.ვ) შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები;**

2. ამ ბრძანებით განსაზღვრულ პირთა ვაქცინაცია განხორციელდეს ვაქცინაციის ჩატარების თანდართული წესის შესაბამისად.
3. ქვეყნის მასშტაბით გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებში დაიწყოს 2024 წლის 18 ოქტომბერს.
4. 2024 წლის 4 ნოემბრიდან ქვეყნის მასშტაბით გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციას დაექვემდებაროს საქართველოს მოქალაქეობის მქონე ნებისმიერი პირი 6 თვის ასაკიდან და ვაქცინაციის ვადა გაგრძელდეს ქვეყანაში ვაქცინის მარაგის ამოწურვამდე.
5. დაევალოთ, ცენტრის:
  - ა) გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტს (ბ. ზახაშვილი) ორსულთათვის სტრატეგიული მარაგის შენარჩუნება ვაქცინის ვარგისიანობის ვადის ამოწურვამდე;
  - ბ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების და რეგიონული მართვის დეპარტამენტს (ვ.გეთია) ამ ბრძანების მიწოდება და სხვა საჭირო ღონისძიების გატარება ყველა შესაბამისი ადრესატისთვის.

6. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორის მოვალეობის  
შემსრულებელი  
თამარ გაბუნია

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელექტრონულად

